www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

2021

01.11.2022

www.geostat.ge

01.11.2022

უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

(2021 წელი)

2021 წელს, საქართველოში მეცნიერულ კვლევებს ახორციელებდა 59 დაწესებულება, რომელთა მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამურმა მოცულობამ 151.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 8.0 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

კვლევებსა და დამუშავებებზე დასაქმებულთა რიცხოვნობა 3.8 პროცენტით შემცირდა და 14 040 შეადგენა, რომელთაგან 12 030 ერთეულს წარმოადგენდნენ მკვლევარები. მკვლევარების 53.3 პროცენტი ქალია, ხოლო 46.7 პროცენტი კაცი.

მკვლევართა 69.8 პროცენტი არის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 27.6 პროცენტი - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 2.6 პროცენტი ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება განათლების დონისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №1

მკვლევარების განაწილება განათლების დონის და სქესის მიხედვით

(%)



რაც შეეხება მკვლევარების განაწილებას ასაკის მიხედვით, ქალების შემთხვევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 55-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (21.8 %), ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - 65 წლის და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფზე (26.9 %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

მკვლევარების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით

(%)



მკვლევარების ყველაზე დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მუშაობენ, რომელთა საერთო რიცხოვნობა 3 065 კაცს შეადგენს (25.5%). ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის მიმართულებაზე მოდის, სადაც 420 პირია დასაქმებული (3.5%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით.

დიაგრამა №3

მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით



მონაცემთა წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge